ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31220531**
თარიღი: **22/02/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომის ოქმი N2

18.02.2022 წელი

14.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა.**

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გოგუაძე.

ფრაქციის წევრები: **გივი ცინცაძე, ირმა მგელაძე.**

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **ელიკო იმნაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხათუნა ვადაჭკორია.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.
/მომხსენებელი: კ. ასკურავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კ. ასკურავა/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების

განხილვა.

/მომხსენებელი: კ. ასკურავა/

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3 ; წინააღმდეგი 0

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, თუ როდის დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების თაობაზე. მან განაცხადა, რომ როდესაც საკრებულოში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნულ საკითხს მან მხარი არ დაუჭირა, ვინაიდან ჰქონდა დასაბუთებული არგუმენტები. ხოლო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ იგი ინფორმაციას არ ფლობდა. რაზეც ელიკო იმნაძემ განმარტა, რომ დეკემბრის თვეში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მესამე რანგის მეორე კატეგორიის სპეციალისტებისთვის სარგოს მატება - 100 ლარის ოდენობით, მაგრამ საქმისწარმოება დროებით შეჩერდა, ვინაიდან დაიგეგმა ახალი საშტატო ნუსხის შემოტანა. ამჟამად პროცესი განახლდა და შესაბამისად შემოვიდა ახალი საშტატო ნუსხა.

კახაბერ ასკურავამ განაცხადა, რომ უშუალოდ მერისგან და იურისტისგან მოითხოვს დეტალურ განმარტებას, თუ რამდენად ლეგიტიმურად დაიწყო საქმისწარმოება. თვლის, რომ პროცედურები არასწორად მიმდინარეობს.

ირმა მგელაძე ლოგიკურად და მიზანშეწონილად თვლის, რომ მერიას მოემატოს სახელფასო ანაზღაურება და არა საკრებულოს პოლიტიკურ პირებს.

სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 0 , წინააღმდეგი 3.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ** აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის საბაზისო განაკვეთი, შრომის ანაზღაურების, გახდა 1000 ლარიდან 1100 ლარი, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის“ მე-8 მუხლის შესაბამისად. კოეფიციენტების მიხედვით მოხდა მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების

ხელფასის დაანგარიშება რაც წარმოდგენილია საშტატო ნუსხაში. ყველა რანგს მოემატა ხელფასი ისე, რომ რანგებს შორის სხვაობა ზომიერია. მერიის საშტატო ნუსხით არის 86 პროფესიული საჯარო მოხელე რომელთა ხელფასების მატება დროულად მიზანშეწონილია.

კახაბერ ასკურავამ განაცხადა, რომ რანგირება შეუსაბამოა. მისი მოსაზრებით წარმოდგენილი იყო თანხის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები, რომელთა შორის მერყეობენ და მეტ-ნაკლები ანაზღაურება გაწერეს. შეუსაბამოა, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის სახელფასო ანაზღაურება უფრო მეტი იყოს ვიდრე მერიის თანამდებობის პირის ასევე აღნიშნა, რომ შეუსაბამო განსხვავებაა კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეების ანაზღაურებას შორის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხიამ განმარტა თანამდებობის პირებზე შესაძლებელი იყო მეტი ზღვრის დაწესება, მაგრამ ყოველივე დამოკიდებულია ადგილობრივ ფინანსურ რესურსზე.

კახაბერ ასკურავამ განაცხადა, რომ გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს მერიის სამსახურის უფროსებს და სამართლიანი იქნებოდა, კომისიის თავმჯდომარეების თანაბარი ყოფილიყო ანაზღაურება.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, როდის დაიწყება რეორგანიზაცია სტრუქტურულ ერთეულებში და მისცა თუ არა საკრებულომ თანხმობა.

ელიკო იმნაძემ განაცხადა, რომ დღის წესრიგში განსაზღვრულია და ადმინისტრაციული წარმოება იწყება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მომსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თუ არის დეფიციტური და ადგილობრივი შემოსავლების რამდენი პროცენტი მიიმართება სახელფასო ფონდში, რაზეც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ ბიუჯეტი დეფიციტური არ არის და ადგილობრივი შემოსულობებიდან დაახლოებით ნახევარი მიიმართება სახელფასო ფონდში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 0 , წინააღმდეგი 3.

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

კახაბერ ასკურავამ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება და შემდგომ განხილვის პროცესში დააფიქსირებს თავის მოსაზრებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 3 , წინააღმდეგი 0.

4. სხვადასხვა

კახაბერ ასკურავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ექვსი თვის განმავლობაში (იანვრიდან - მაისის თვის ჩათვლით) ბიუჯეტიდან უნდა გაიცეს დაახლოებით 400 000 ლარი. მათი ფრაქციის შემოთავაზებაა, რომ ეს თანხა მიიმართოს საწვავის ვაუჩერის შესაძენად. ვაუჩერებს გადასცემენ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს (65 000ქულამდე), რათა დაამუშაონ საყანე ფართობები. ამ პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარს დაუჭერენ თანამდებობრივი სარგოების გაზრდას.

პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

18.02.2022 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახაბერ ასკურავა	02.00	
2	გიორგი გოგუაძე	—	
3	ირმა მგელაძე	14 00	
4	გივი ცინცაძე	02 00	